

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

თამარი თალაკვაძე

კონკურენტული პოტენციალის ეფექტიანად
გამოყენების მექანიზმები ქართულ კომპანიებში

სადოქტორო პროგრამა – ბიზნესის ადმინისტრირება
შიფრი-02

დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად
წარდგენილი დისერტაციის

აკტორეფერატი

თბილისი

2019 წ

© საავტორო უფლება „თამარ თალაკვაძე“

სამუშაო შესრულებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტში

ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი

ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტი

ხელმძღვანელი: ასოც პროფ. ქეთევან შენგელია

რეცენზენტები: პროფესორი ედუარდ კავთიძე

პროფესორი ნინო დამენია

დაცვა შედგება 2019 წლის 16 ივლისს 2019 წელი, 15:00 საათზე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესტექნოლოგიების

ფაკულტეტის სადისერტაციო კოლეგიის სხდომაზე,

კორპუსი VI, აუდიტორია -----

მისამართი: 0175, თბილისი, კოსტავას 77.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება სტუ-ს ბიბლიოთეკაში,

ხოლო ავტორეფერატის - ფაკულტეტის ვებგვერდზე (www.gtu.ge)

სადისერტაციო საბჭოს მდივანი

ასოც. პროფესორი ლია ბერიკაშვილი _____

Resume

The dissertation, "The efficient use of competition potential in Georgian companies" consists: introduction, 3 chapters, 11 subjects, conclusions and literature background.

In the introduction of the topic is actuality of the community, which is the key element in competition in business development. Our country's economy is largely damaged by hidden, international monopolies, so it is important to detect them and prevent their devastating influence on our country's economy. Georgia needs solid and stable economic environment to promote exist and start-up business, which in turn contributes to increasing population satisfaction, unemployment levels and so on. For business development, it is necessary to have a healthy competitive environment in the country.

Individual development of human beings give as chance of global competitions which is connecting to innovation . In spite of the fact that foreign and Georgian scientists have developed a number of resurchs , we believe that this work will be of interesting to the reader as a theoretical and practical self-reliance on the novelties and conclusions of the proposed research.

It is true that global competition has a positive impact on world population, but in practice it is not possible to use the competitive advantage potentially. The fact that even in the worsening of the world economy, it is impossible to overcome the problem of mass poverty. This fact confirms the importance of the topic and emphasizes the need for monopoly and elucidation of oligopolies.

In our opinion, the global epoch, when the uniform world economy is a reality from the myth, is necessary in the framework of competence, within the framework of the government's economic structures (Ministry of Economy and Sustainable Development, Ministry of Finance, Antimonopolistic Service, Competition Agency, State Procurement Agency) Mobile Subdivisions It will enable the study of the characteristics of all fields and subdivisions to determine the quality deformations and norms for the protection of the local market.

In addition, we will consider the objectives of the research, research subject and object, the state of study, the scientific novelty of the work and its significance.

In the first chapter of the work, "General Theoretical Understanding of Competition" is about the essence of competition, its assessment methods and the future perspectives of competition.

In the second chapter, "Georgian Business Specificity and Development Trends" is discussed in Georgian business structure and its efficiency, factors operating in business and business protection mechanisms from unfair competition. The examples of Georgian companies are presented and offered by business with the support of the main problem – unemployment. And gives us offer to solve the problem of unemployment. The importance of social responsibility of business and contemporary trends of innovative business are discussed. The necessity of innovative management, modern innovative product and service creation is substantiated by analytical research. Selection of analytical method of study has led to research quantitative and qualitative reasearch which in fact is better than the facts that are not on the surface or only available in the theory. We used the method of quantitative research to solve the problems presented in our analytical analysis. We used the interview and 2 questionnaires. One questionnaire was presented on a printed paper that our respondents filled in so-called "field conditions", by hand. The second questionnaire was distributed electronically and online respondents answered their questions.

In the third chapter of the paper, "Competence Efficiency Mechanisms and Priorities in Georgian Reality" are considered as separate articles of the Law on Competition, there are certain inconsistencies and directions of further improvement of the law are offered. The role of the Competition Agency is generalized and the ways of its further improvement are proposed. Organizational advantages of the Georgian business are discussed and the ways of preventing illicit monopolies are presented.

The results of the survey are summarized in the final part of the work.

სადისერტაციო ნაშრომის ზოგადი დახასიათება

ქვეყნის ეკონომიკური განვითარება დამოკიდებულია ბიზნესის სტაბილურობაზე და წარმოების მაღალ დონეზე, რასაც თავის მხრივ ჯანსაღი კონკურენტული გარემო სჭირდება. ბიზნესს ქვეყნის ეკონომიკის ხერხემალს უწოდებენ. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ჩრდილოვანი ეკონომიკის მაღალი დონის გამო ოფიციალური სტატისტიკა სრულად ვერ აფიქსირებს ამ ტიპის მეწარმეობიდან შემოსავალს, ბიზნესს სერიოზული შემოსავლები მოაქვს და თუ ქვეყნის მოსახლეობა უკიდურესი გაჭირვების მიუხედავად, მაინც ახერხებს არსებობას, ამის ერთ-ერთი სტიმულატორი სწორედ ბიზნესია.

საკვლევი თემის აქტუალობა. კონკურენციის დეფიციტი და მონოპოლიებით გაჯერებული ბაზარი არ გვაძლევს საშუალებას, თუნდაც ეკონომიკის ზრდის პირობებში შევამციროთ უმუშევრობის და სიღარიბის დონე, ასეთ შემთხვევაში კონკურენციის საკითხების კვლევა აქტუალურია და სწორედ ამიტომ, დავინტერესდით აღნიშნულ პრობლემაზე მაგისტრატურაზე დაწყებული მუშაობა კვლავ გაგვეგრძელებინა რათა, თქვენთვის შემოგვეთავაზებინა არგუმენტირებულად დასაბუთებული და რაციონალური რეკომენდაციები.

კვლევის მიზნები და ამოცანები. კვლევის მიზანს წარმოადგენს ბიზნესის სტაბილურობის მისაღწევად, კონკურენციის დაცვის აუცილებლობის დასაბუთება. ამასთან, იმ კონკრეტული რჩევებისა და რეკომენდაციების შემოთავაზება, რომლებიც ხელს შეუწყობს წარმოების ზრდას და რეგიონში ბიზნესის განვითარებას.

დასახული მიზნის მისაღწევად საჭირო გახდა, შემდეგი ამოცანების გადაწყვეტა:

1) ტერმინი „კონკურენციის“ დაზუსტება, თეორიების შესწავლა, განზოგადება და მათგან საჭირო დასკვნების გამოტანა.

2) კონკურენციის გააზრების ევოლუცია და მისი სწორად გაგების პრობლემის გადაწყვეტა.

3) ბიზნესის სტრუქტურის, მასზე მოქმედი ფაქტორებისა და ბიზნეს გარემოში მიმდინარე ცვლილებების განსაზღვრა.

4) კონკურენციის ხელშესაწყობად რეგიონის ეკონომიკური განვითარების აუცილებლობის დასაბუთება და მისი მეშვეობით დარგობრივი სტრუქტურის განვითარება.

5) კონკურენციის შეფასების ინდექსების განზოგადება და ანალიზი.

6) კონკურენციის კანონმდებლობის სრულყოფის აუცილებლობის დასაბუთება და კონკურენციის სააგენტოს როლი ჯანსაღი კონკურენციის დაცვაში.

7) ისეთი სტრატეგიებისა და რეკომენდაციების შემუშავება, რომლებიც ერთის მხრივ ხელს შეუწყობს, ეკონომიკურ ზრდას და მეორეს მხრივ, უზრუნველყოფს მიღებული მატერიალური დოვლათის ოპტიმალურ გადანაწილებას.

დასახული მიზნების და ამოცანების რეალიზაცია, თავის მხრივ მოითხოვს, შემდეგ საკითხებზე ორიენტაციას:

–ინოვაციური პროდუქტებისა და მომსახურების განვითარება.

–კვლევის შედეგების დადებითი გავლენა ბიზნესსა და სოციალურ გარემოზე.

–ზრდასა და განვითარებაზე ორიენტაცია.

–ინიციატივა რომელიც მაქსიმალურად ნაყოფიერს გახდის კონკურენციულ პოტენციალს.

–ახალი ტენდენციების დანერგვა საქართველოს ეკონომიკის ხელშესაწყობად.

–აქტივობათა დაგეგმვა, რომლებიც საზოგადოებისათვის მნიშვნელოვან სფეროებში პოზიტიურ ცვლილებებს შეიტანს.

ზემოთ მოყვანილი მიზნებიდან, ამოცანებიდან და პრიორიტეტებიდან გამომდინარე თეორიულ რესურსად გამოვიყენეთ

უცხოელი და ქართველი მეცნიერების ნაშრომები, ქართული და უცხოური კომპანიების მაგალითები, სამეცნიერო პრაქტიკული კომფერენციების მასალები, რომლებიც ეძღვნებოდა კონკურენციისა და ბიზნესის განვითარების პრობლემებს.

კვლევის საგანი და ობიექტი. კვლევის საგანს წარმოადგენს კონკურენციისა და მონოპოლიის გავლენის კვლევა ბიზნეს პროცესების ეფექტიანობაზე, ხოლო კვლევის ობიექტს წარმოადგენს ქართული საბანკო ბიზნესის ერთ-ერთი დამწყები ციფრული ბანკი „სფეისი“. არჩევანი განპირობებულია კომპანიის მრავალფეროვნებით და ქართული პრაქტიკისთვის სრულიად უცხო ახალი და ინოვაციური სტრატეგიით. მიუხედავად იმისა, რომ საბანკო ბიზნესში ბევრი გამოცდილი კომპანია მოღვაწეობს და წლებია ინარჩუნებს ლიდერის პოზიციებს არჩევანი დამწყებ კომპანიაზე შევაჩერეთ, რაც განპირობებულია იმით, რომ კომპანია აქამდე უჩვეულო, განსხვავებულ და ინოვაციურ მომსახურებას გვთავაზობს. რაც გამორიცხავს ყოველგვარ ბიუროკრატias, საათობით საბანკო რიგებში დგომას და გვთავაზობს მომსახურების მარტივად, მყისიერად და რაც მთავარია დისტანციურად მიღებას. ამასთან საკითხზე ჯერ სხვა კვლევა არ არსებობს, რამაც განაპირობა ჩემი კვლევის ობიექტად სფეისის შერჩევა.

კვლევის მეთოდოლოგია: კვლევის პროცესში გამოვიყენეთ, ანალიზის, სინთეზის, ანალოგიისა და განსხვავების, ლოგიკური მსჯელობისა და რაოდენობრივი კვლევის მეთოდები. მთელს ნაშრომზე მუშაობისას აქტიურად გამოვიყენეთ ანალიზის მეთოდი, რომელმაც საშუალება მოგვცა კვლევის პროცესში გამოყენებული კლასიკური ეკონომიკური თეორიები და გამოკვლეული მონაცემები სათანადოდ შეგვესწავლა. ანალიზს წინ უძღოდა მონაცემთა რედაქტირება და კონტროლი. შემდგომი ეტაპი მოპოვებული ინფორმაციიდან და ფაქტებიდან ლოგიკური დასკვნების გამოტანა იყო.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე: ნაშრომის მეცნიერული სიახლე განისაზღვრება ქართული კონკურენტული ბაზრის კომპლექსური შესწავლით. წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს კონკურენციის ფუნქციონალური მექანიზმების კვლევას ქართულ კომპანიებში.

შეფასებულია, ქართული კონკურენტული ბაზარი მონოპოლი-
ოლიგოპოლიათა საზიანო გავლენის კუთხით.

დადგენილია, რომ კონკურენტული უპირატესობის მოსაპოვებლად
კომპანიამ რაციონალურად უნდა შეაფასოს მომხმარებლის მოთხოვნა,
კონკურენტების მიერ მომხმარებელთა დაკმაყოფილების ხარისხი და
საზოგადოების ტექნოლოგიურად გათვითცნობიერებულობის დონე.

განსაზღვრულია, კონკურენციის ხელშეწყობა, არამართო დარგის,
არამედ რეგიონის განვითარების კონტექსტში.

ჩამოყალიბებულია, ავტორისეული შეხედულებები ქვეყანაში
არსებული ბიზნეს სტაბილურობის პრობლემის სრულყოფის
გადასწყვეტად.

მიღებული შედეგების პრაქტიკული მნიშვნელობა. სადისერტაციო
ნაშრომში წარმოდგენილი კვლევა წარმოადგენს ქვეყნის მცირე, საშუალო და
დიდი ბიზნესის ეფექტიანობის ზრდის პრობლემების კვლევას, ბიზნესის
განვითარებისთვის კონკურენციის გადამწყვეტი როლის დადასტურებას.
აღნიშნულიდან საჭირო დასკვნების გამოტანას და პრაქტიკული
რეკომენდაციების შეთავაზებას. ამასთან, ნაშრომის ანალიტიკური და
ფაქტობრივი მასალა, დასკვნები და ავტორის რეკომენდაციები შეიძლება
გამოყენებულ იქნეს როგორც დამხმარე სახელმძღვანელო ეკონომიკის
ზრდის საკითხზე მუშაობისას. გარდა ამისა, ნაშრომში შემოთავაზებული
ოპტიმალური კონკურენციის მოდელი, შემდგომში შესაძლოა გამოყენებულ
იქნეს ისეთი მნიშვნელოვანი პრობლემების გადაწყვეტის პროცესში,
როგორებიცაა: სოფლიდან ქალაქში და ქვეყნის გარეთ მიგრაციის პრობლემა,
სიღარიბის დონისა და უმუშევრობის არსებითი შემცირება და ექსპორტის
ზრდა.

ნაშრომის სტრუქტურა. სადისერტაციო ნაშრომი აერთიანებს 135
ნაბეჭდ გვერდს და შედგება: შესავლის, ლიტერატურის მიმოხილვის, სამი
თავის, 11 ქვეთავისა და დასკვნისაგან. რომელსაც თან ერთვის
გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა.

ნაშრომის ძირითადი შინაარსი

თანამედროვე ეპოქაში, თითქმის წარმოუდგენელია ბაზარი, კონკურენციის გარეშე, გასცდა რა ქვეყნის გეოგრაფიულ საზღვრებს, კონკურენციამ გლობალური მასშტაბი შეიძინა. სწორედ ქვეყნის კონკურენტუნარიანობის მაჩვენებელი განსაზღვრავს მისი განვითარების დონეს და ადგილს მსოფლიო ეკონომიკაში.

შესავალში ტრადიციულად განსაზღვრულია თემის აქტუალურობა, კვლევის მიზანი და ამოცანები, თემის შესწავლის მდგომარეობა. განხილულია ნაშრომის მეცნიერული სიახლე და პრაქტიკული მნიშვნელობა. აღწერილია კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები.

ლიტერატურის მიმოხილვაში განხილულია და გაანალიზებულია საკვლევი თემის საკვანძო საკითხები. შესაბამისად, თემატურად მიმოხილულია საკითხები იმის თაობაზე, თუ: საიდან მომდინარეობს სადისერტაციო ნაშრომში დასმული პრობლემა, რა არის უკვე ცნობილი ამ პრობლემის შესახებ, რა ალტერნატიული მეთოდებია შემუშავებული დასმული პრობლემის გადასაჭრელად და რომელი მათგანია გამოყენებული წინამდებარე ნაშრომში. ამასთან დაკავშირებით, დამუშავებული და შეჯერებულია სხვადასხვა ავტორთა ნაშრომები.

ნაშრომის პირველი თავი „კონკურენციის ზოგადთეორიული გააზრება“ მოიცავს შემდეგ პარაგრაფებს: 1.1. კონკურენციის არსი: რეტროსპექტივა და პერსპექტივა თეორიაში; 1.2. ცვალებადი ეკონომიკური აზრი, კონკურენციის საკითხებზე; 1.3. კონკურენციის შეფასების მეთოდები.

მასში განხილულია მსოფლიო ეკონომიკურ პროცესებში ქვეყნის ინტეგრაციისთვის აუცილებელი ეკონომიკური თეორიები. საკითხის უკეთ გააზრებისათვის დასაწყისში გამოჩენილი მეცნიერების: ადამ სმიტის, ჯონ ნემის, კარლ მარქსის, ჯონ მეინარდ ქეინზის, მაიკლ პორტერის, ჰენრი მინცბერგის, უილიამ დევისის, პიტერ დრუკერის, ქრისტოფერ ჰარგინდის, ჯულიან ჯომუას და სხვათა თეორიებია განხილული. თამამად შეიძლება

ითქვას, რომ სწორედ აღნიშნული ეკონომიკური მიმდინარეობები ადგენენ მსოფლიო ეკონომიკურ წესრიგს.

თეორიათა ანალიტიკურმა ანალიზმა აჩვენა, რომ ერთ მხარეს ადამ სმითის სუფთა საბაზრო ეკონომიკაა, მეორე მხარეს მარქსის ეკონომიკური მეთოდი, მათ შორის კი ყველა დროის ერთერთი საუკეთესო მათემატიკოსი ნეშია, რომელიც აცხადებს, რომ გარკვეულწილად ბაზარი უნდა იყოს რეგულირებული. ამგვარად, პირად ინტერესებზეც უნდ იფიქრო, სხვებზეც უნდა იფიქრო და ჯამური კეთილდღეობის ეფექტი იქნება ოპტიმალური.

დღევანდელ ეპოქაში კონკურენტული ბაზრის მთავარი ხელისშემშლელი მიზეზია კომპანიათა მიდრეკილება: აწარმოონ ფარული მოლაპარაკებები პირადი კეთილდღეობისათვის, თუმცა სხვათა საზიანოდ. ეს კი თავისთავად ,მონოპოლია ოლიგოპოლიების მომძლავრებას და ეკონომიკური დოვლათის უსამართლო გადანაწილებას იწვევს.

ამგვარად, საკუთარი ინტერესებისათვის ბრძოლაში ეკონომიკურმა აგენტებმა უნდა გაითვალისწინონ კონკურენტის და უმთავრესად საზოგადოების ინტერესები, მათი თითოეული ქმედებაუნდა იყოს რაციონალურად გააზრებული და ზიანს არ უნდა აყენებდეს საზოგადოების კეთილდღეობას. ამასთან სახელმწიფო უნდა იყოს აქტიურად ჩართული ეკონომიკური პროცესების მიმდინარეობაში და საჭიროების მიხედვით უნდა დაარეგულიროს ბაზარი.

21-ე საუკუნე ტექნოლოგიების, ინოვაციების და ცოდნის ეპოქაა, რაც კონკურენციის ახლებურად გააზრების და ანალიზის აუცილებლობას ბადებს. ადამ სმითის, კარლ მარქსისა და ქეინზის თეორიები ჩვენთვის შეუფასებელი მონაპოვარია, თუმცა დროის ცვლილებასთან ერთად მათი ხედვის თანამედროვეობასთან უკეთესი ადაპტაციაა საჭირო. არც ისე შორეულ წარსულში, ამა თუ იმ ქვეყნის კონკურენტუნარიანობის შესაფასებლად იყენებდნენ ისეთ მაჩვენებლებს, როგორცაა: მდიდარი ბუნებრივი რესურსები, ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა, ინფლაციის დაბალი დონე, იაფი მუშახელის სიჭარბე დაბალი საპროცენტო განაკვეთი და სხვ. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი პარამეტრი მნიშვნელოვანი,

თუმცა არასაკმარისია ქვეყნის კონკურენტუნარიანობის შესაფასებლად. ამის მაგალითია მაიკლ პორტერის კვლევა. საიდანაც გამოიკვეთა, რომ კონკურენტუნარიანობას არც მხოლოდ მაღალი შემოსავლები, არც მხოლოდ კარგი მდებარეობა და ბუნებრივი რესურსები, არც მხოლოდ იაფი მუშახელი ან მაღალი ხელფასები არ განსაზღვრავს, არამედ კონკურენტუნარიანობის შეფასების მთავარი კრიტერიუმი არის მწარმოებლურობა. სწორედ კარგად განვითარებულ მრეწველობას შეუძლია მაღალი ცხოვრების დონის უზრუნველყოფა. მწარმოებლურობის დონე, თავის მხრივ დამოკიდებულია პროდუქციის ხარისხსა და მახასიათებლებზე, რაც შემდგომში განაპირობებს ამ პროდუქციის ფასს.

კონკურენტუნარიანობის შეფასების სხვადასხვა მეთოდს განასხვავებენ. ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია კონკურენტუნარიანობა შეფასდეს ქვეყნისა და ბაზრის სპეციფიკის გათვალისწინებით. შევეცდებით აღნიშნული საკითხი პრაქტიკულ მაგალითებზე განვაზოგადოთ.

კონკურენციის საკითხებზე მუშაობისას ეკონომიკის კლასიკოსების სკოლა ძირითადად ყურადღებას საფასო კონკურენციაზე ამახვილებდა და კონკურენციას კონკურენტთა დიდი რაოდენობით განსაზღვრავდა. აშშ-ში ბაზრის კონკურენტუნარიანობის შესაფასებლად გამოიყენება „ჰერფინდალ-მარშანის“ ინდექსი-HHI. რომელიც რათქმაუნდა კარგი, თუმცა კონკურენციის შეფასებისთვის არასაკმარისი მაჩვენებელია. იგი ბაზარზე მოქმედი ყველა მომწოდებლის საბაზრო წილის კვადრატების ჯამით განისაზღვრება. რომლის თანახმად, ყველაზე მსხვილი კომპანიის საბაზრო წილმა მთელი ბაზრის მესამედს არ უნდა გადააჭარბოს.

ბაზრის კონცენტრაციის დონის შეფასებისათვის აშშ-ს მსგავსად საქართველოც იყენებს ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსს. თავის მხრივ ბაზრის კონცენტრაციის დონე ბაზარს ხარისხობრივად ახასიათებს და აფასებს კომპანიის წილთა ურთიერთთანაფარდობასა და ბაზარზე მათი განაწილების სიმჭიდროვეს.

ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსის თანახმად ბაზრები იყოფა: დაბალკონცენტრირებულ, ზომიერად კონცენტრირებულ და

მაღალკონცენტრირებულ ბაზრებად. დაბალკონცენტრირებულ ბაზარზე HHI ინდექსი ნაკლებია 1250-ზე, ზომიერად კონცენტრირებულ ბაზარზე HHI ინდექსი მეტია 1250-ზე და ნაკლებია 2250-ზე, ხოლო მაღალკონცენტრირებულ ბაზარზე HHI ინდექსი 2250-ზე მეტია. კონცენტრაციის დონე ხარისხობრივად ახასიათებს ბაზარს და აფასებს ეკონომიკური აგენტების ხვედრითი წილის თანაფარდობასა და ადგილს ბაზარზე. ზღუდავს თუ რა კონცენტრაცია კონკურენციის ხარისხს, კონკურენციის სააგენტო, შემდეგი ინდიკატორების ანალიზით აფასებს:

- 1) ფასების სიმცირე.
- 2) მოგების სიდიდე.
- 3) წარმოებული პროდუქციის ხარისხი.
- 4) საწარმოო და რეალიზაციის ხარჯების შემცირება.
- 5) ტექნიკური პროგრესი.

სასაქონლო ბაზარზე HHI -თან ერთად გამოიყენება ლინდის ინდექსი, რომლის საშუალებით ბაზრზე ლიდერ მიმწოდებელთა შორის უთანაბრობის ხარისხი განისაზღვრება.

ჩვენი აზრით, კონკურენტუნარიანობის შეფასება ბაზრისა და ქვეყნის სპეციფიკის გათვალისწინებით უნდა განხორციელდეს რისთვისაც HHI-სა და ლინდის ინდექსები კარგი, თუმცა არასაკმარისია. კონკურენციის მაღალი შედეგიანობა კი უნდა გამოიხატებოდეს შემდეგი მაჩვენებლების ზრდაში:

- 1) ექსპორტის დონის თანაფარდობა მის მაქსიმალურ პოტენციურ შესაძლებლობასთან.
- 2) იმპორტის დონის თანაფარდობა მის მინიმუმამდე შემცირების მაჩვენებელთან და შემდგომ პოტენციური მაქსიმალური ექსპორტის შეფარდება პოტენციურ მინიმალურ იმპორტთან.
- 3) წმინდა ეკონომიკური მოგების ზრდის შეფარდება მაქსიმალურ დანახარჯებთან.
- 4) ერთ სულ მოსახლეზე მაქსიმალური შემოსავლის თანაფარდობა საცხოვრებელ მინიმუმთან.

აღნიშნული მაჩვენებლების ერთობლიობა საუკეთესოდ ავლენს კონკურენციის პოტენციალის რეალურ შესაძლებლობებს რეტროსპექტივაში. ქვეყნის კონკურენტუნარიანობის შეფასების ერთ-ერთი ოპტიმალური მაჩვენებელია, რეალიზებული ექსპორტის შეფარდება იმპორტთან. თანამედროვე ინოვაციური ტექნოლოგიების იმპორტი სახელმწიფოს უპირველესი ხელშეწყობის ობიექტი უნდა გახდეს.

ნაშრომის მეორე თავი: „ქართული ბიზნესის სპეციფიკა და განვითარების ტენდენციები“ შედგება შემდეგი პარაგრაფებისაგან: 2.1 ბიზნესის არსი, მისი სტრუქტურა და ეფექტიანობა, 2.2 ბიზნესზე მოქმედი ფაქტორები, 2.3 ინოვაციური მენეჯმენტისა და ბიზნესის როლი, უმუშევრობის პრობლემის გადაჭრის საკითხში, 2.4 ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა, როგორც კონკურენციის ეფექტიანი მექანიზმი. სადაც განხილულია ბიზნესის არსი მისი სტრუქტურა და ეფექტიანობა. მიუხედავად იმისა, რომ ბევრმა ქვეყანამ მიაღწია ცხოვრების მაღალ დონეს და შექმნა დიდი მატერიალური დოვლათი მოსახლეობის არც თუ ისე მცირე ნაწილი დღემდე შიმშილობს. მდიდარ და ღარიბ მოსახლეობას შორის არსებული სხვაობა წლიდან წლამდე იზრდება. ისეთი პატარა ქვეყნისთვის როგორც საქართველოა, სიღარიბესთან ბრძოლის საუკეთესო საშუალება მცირე ბიზნესის ხელშეწყობა და ჯანსაღი კონკურენციის დაცვაა.

ბიზნესს ქვეყნის ეკონომიკის ხერხემალს უწოდებენ. თითოეული ჩვენგანი გარკვეულწილად დაკავშირებულია ბიზნესთან. ერთი, შედარებით მცირე, ნაწილი ქმნის და მართვს მას, ხოლო მეორე ნაწილი მოიხმარს ბიზნესის მიერ წარმოებულ საქონელს და შეთავაზებულ მომსახურეობას.

საქართველოში სამეწარმეო საქმიანობა „მეწარმეთა შესახებ კანონით“ რეგულირდება. კანონის 1 მუხლის 2 პუნქტის თანახმად: „სამეწარმეო საქმიანობად მიიჩნევა მართლზომიერი და არაერთჯერადი საქმიანობა, რომელიც ხორციელდება მოგების მიზნით დამოუკიდებლად და ორგანიზებულად.“

ბიზნესის როლი მისი ფუნქციებიდანაც კარგად ჩანს:

ა) ბიზნესი ქმნის ახალ სამუშაო ადგილებს.

ბ) ქმნის ახალ ნაწარმს და მომსახურებას, ხშირად ინოვაციურს.

გ) აკმაყოფილებს საზოგადოების მოთხოვნილებებს.

დ) იხდის გადასახადს, რითაც სახელმწიფოს აძლიერებს მატერიალურად.

ე) საერთაშორისო ბაზარზე გასვლით, პოპულარიზაციას უწევს ქვეყნის კულტურასა და ტრადიციებს.

ვ) სურვილისამებრ, იღებს სოციალურ პასუხისმგებლობას და ეწევა ქველმოქმედებას.

ა) მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ჩრდილოვანი ეკონომიკის მაღალი დონის გამო ოფიციალური სტატისტიკა სრულად ვერ აფიქსირებს ამ ტიპის მეწარმეობიდან შემოსავალს, ბიზნესს სერიოზული შემოსავლები მოაქვს და თუ ქვეყნის მოსახლეობა უკიდურესი გაჭირვების მიუხედავად, მაინც ახერხებს არსებობას, ამის ერთ-ერთი სტიმულატორი სწორედ ბიზნესია. ბიზნესს სექტორშია დასაქმებული მოსახლეობის საკმაოდ დიდი ნაწილი. თუმცა ოფიციალური სტატისტიკა დასაქმების ზუსტ მაჩვენებლებს ვერ გვაძლევს.

საქსტატის ინფორმაციით, ბიზნეს სექტორის ბრუნვის მოცულობა 2017 წლის IV კვარტალში, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 21,5%-ით გაიზარდა და 21,1 მილიარდი ლარი შეადგინა.

ზრდის ტენდენციით ხასიათდება ბიზნეს სექტორის პროდუქციის გამოშვების მაჩვენებელიც. 2017 წლის IV კვარტალში მისი მოცულობა 10,5 მილიარდი ლარით განისაზღვრა, რაც 19,5%-ით აღემატება გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს: მათივე ცნობით, 2017 წლის IV კვარტალში მთლიანი ბრუნვის 44,3% მოდის მსხვილ ბიზნესზე, 21,7% – საშუალო, ხოლო 34,0% – მცირე ბიზნესზე ნაწილდება.

მცირედით განსხვავებული მდგომარეობაა პროდუქციის მთლიანი გამოშვების შემთხვევაში: მსხვილ ბიზნესზე მოდის პროდუქციის გამოშვების 38,8%, საშუალოზე – 25,3%, ხოლო მცირე ბიზნესზე – 35,9%. საწარმოთა მიერ განხორციელებულმა საქონლისა და მომსახურების მთლიანმა ყიდვებმა 2017 წლის IV კვარტალში 15,6 მლრდ. ლარი (გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 20,5%-ით მეტი), ხოლო გადასაყიდად განკუთვნილი საქონლისა და მომსახურების ყიდვებმა – 9,7

მლრდ. ლარი შეადგინა (გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 20,1 %-ით მეტი). 2017 წლის IV კვარტალში დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა 660,1 ათასი კაცით განისაზღვრა, რაც გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს 6,3%-ით აღემატება. დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობიდან 40,1% ქალია, ხოლო 59,9% – კაცი.

წინა წლებთან შედარებით ბიზნეს სუბიექტების საერთო ბრუნვის ზრდა პოზიტიური პროგნოზების გაკეთების საშუალებას იძლევა, თუმცა ჩვენი ქვეყნის პოტენციური უფრო დიდ შესაძლებლობას იძლევა. ამიტომ როგორც სახელმწიფომ, ისევე ფინანსურმა ინსტიტუტებმა ხელი უნდა შეუწყონ ბიზნესის განვითარებას ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ.

საქართველოში სხვა პოსტსოციალისტურ ქვეყანათა მსგავსად საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი პერიოდი გარკვეული სირთულეებით ხასიათდება, თუმცა ჩვენს ქვეყანას დიდი პოტენციური აქვს იმისთვის, რომ თანამედროვე ქართულმა კომპანიებმა აკეთონ ბიზნესი თავიანთი ქვეყნის შიგნით.

მონოპოლიური გავლენის შესამცირებლად, ჯანსაღი კონკურენციის მხარდაჭერისთვის კონკურენციის სააგენტომ ეკონომიკისა და მდრადი განვითარების სამინისტრომ და სხვა სტრუქტურულმა ერთეულებმა უნდა სრულყონ მოქმედი მექანიზმები ქართულ ბაზარზე დომინირებულ მონოპოლიათა ძალაუფლების შესამცირებლად და, როგორც ეროვნული ბანკი არეგულირებს კომერციულ ბანკთა ქმედებებს, მათ საწესდებო და საპროცენტო განაკვეთებს, დაუწესონ აშკარა მონოპოლიებს ფასების ზღვრული ლიმიტები.

შესწავლილია ბიზნესზე მოქმედი ფაქტორები:

1) მომხმარებელი, რომელიც მისი ცვალებადი მოთხოვნილებებით მუდმივად ახალი და ინოვაციური შემოთავაზების ძიებაშია.

2) ბაზარი, ნებისმიერი კომპანია არა იდენტურ, თუმცა არსებითად მსგავს გზას გადის ბაზარზე ადგილის დასამკვიდრებლად, ბაზარზე შესვლის და ბაზრის დატოვების ბარიერი ყველა ბაზარს ახასიათებს.

3) უშუალო კონკურენტები, იმის მიუხედავად თუ რა სფეროში ან რა დარგში საქმიანობს კომპანია ის ძირითადად არ არის ერთადერთი და მუდმივად უწევს კონკურენტული უპირატესობის მოპოვებისთვის ბრძოლას.

4) სახელმწიფო რეგულაციები, კონკურენციის და ბიზნესის შესახებ კანონმდებლობა არსებითად ერთია ყველა სუბიექტისთვის და მარეგულირებელი ორგანოებიც (უმეტესად) თანაბრად არეგულირებენ თითოეულის ქცევას.

5) ტექნოლოგიების განვითარების დონე, გლობალურ სივრცეში მხედველობაში აღარ მიიღება რა გეოგრაფიული საზღვრები თანამედროვე მიღწევები და ტექნოლოგიები არსებითად საყოველთაოდ ხელმისაწვდომია.

6) მიმწოდებლები და ინვესტორები, ნებისმიერ ბიზნესს საქმიანობის მიუხედავად უწევს მიმწოდებლების და ინვესტორების მოძიება და მათთან სარფიანი მოლაპარაკების წარმართვა.

7) საერთაშორისი ვაჭრობის მაჩვენებელი.

გარდა ზოგადი ფაქტორებისა, ბიზნესზე ისეთი ინდივიდუალური ფაქტორებიც მოქმედებს, როგორებიცაა:

1) ქვეყნის (რეგიონის) კლიმატი და გეოგრაფიული მდებარეობა.

2) კორპორაციაში დასაქმებული თანამშრომლების მენტალიტეტი, მათი რელიგიური შეხედულებები და კულტურული ფასეულობები.

3) დემოგრაფიული ცვლილებები და ცხოვრების სტილი.

2017 წელს საქართველოში ეკონომიკური ზრდის პროცენტულმა მაჩვენებელმა 4,8 %-ს მიაღწია, ერთ სულზე 4046,8 აშშ დოლარს. უფრო დეტალურად გასულ წელთან შედარებით ზრდა შეინიშნა ვაჭრობაში, საფინანსო საქმიანობაში, უძრავი ქონებით ოპერაციებსა და მომხმარებლისათვის სხვა მომსახურების გაწევაში, თუმცა მშენებლობაში კლება დაფიქსირდა, რაც ვფიქრობ, ძირითადად სამშენებლო ბიზნესის რეგულაციებით აიხსნება. კერძოდ სამშენებლო სამუშაოების ჩატარება არ უნდა აზიანებდეს გარემოს ეკოლოგიურ მდგომარეობას უნდა ითვალისწინებდეს სახანძრო უსაფრთხოების წესების დაცვას და

სამუშაოების ტექნიკურ ზედამხედველობას, ამასთან „შრომის უსაფრთხოების შესახებ კანონში“ ცვლილებები შევიდა. ამან გარკვეულწილად გაზარდა სამშენებლო კომპანიის ხარჯები და გამოიწვია უძრავ ქონებაზე ფასის ზრდა. ჩვენი წინასწარი პროგნოზით კლება მიმდინარე წელსაც გაგრძელდება, რადგან ამა წლის 1 იანვრიდან ამოქმედებული ეროვნული ბანკის რეგულაციების თანახმად გამკაცრდა იპოთეკური სესხის გაცემა ფიზიკურ პირებზე, იმის გათვალისწინებით, რომ უმეტესად უძრავი ქონების შესაძენად საჭირო სახსრებს მომხმარებელი საფინანსო სექტორიდან იღებდა სესხის სახით, უძრავი ქონების გაყიდვები კიდევ უფრო შემცირდება. ინფლაციის მაჩვენებელი 2018 წლის იანვარში 4.8% იყო. ბოლო 3 წლის მანძილზე ინფლაციის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი 2017 წელს 7.1% დაფიქსირდა, თუმცა როგორც 2019 წლის 3 იანვრის მონაცემები გვიჩვენებს წლის ბოლოს იგი 1.5 %-მდე დარეგულირდა, რაც პოზიტიური მაჩვენებელია. თუმცა, თუ ყველა რეგიონს შესაბამისად განვავითარებთ და ხელს შევუწყობთ რეგიონში ბიზნესის განვითარებას დარგობრივი სტრუქტურაც თავისთავად განვითარდება. 2018 წელს საქართველოს მოსახლეობა შეადგენს 3 729.6 ათას ადამიანს, აქედან ქალაქის მოსახლეობა 2174.8 ათასია რომლიდანაც 1 158.7 დედაქალაქზე მოდის. სამწუხაროდ, სულ უფრო და უფრო მცირდება სოფლად მცხოვრები მოსახლეობის ხვედრითი წილი, სამაგიეროდ კი იზრდება მოსახლეობის ქალაქში, უმეტესად დედაქალაქში, მიგრაციის მაჩვენებელი.

ბიზნეს სექტორში ბრუნვის მოცულობის უფრო სწრაფი ზრდისთვის აუცილებელია სახელმწიფოს მხრიდან ბიზნესის უფრო აქტიური მხარდაჭერა, რეგიონის განვითარება და საზოგადოებისთვის საჭირო სხვა ისეთი გრძელვადიანი პროექტების დაფინანსება, რომლებსაც მოკლე დროში მოგება არ მოაქვს და ვერ დაფინანსდება კერძო სექტორის მიერ. რადგან გრძელვადიანი პროექტები მისთვის, არ არის მიზნობრივი ამაზე შეიძლება მხოლოდ სახელმწიფომ იზრუნოს.

ბოლო 8 წლის მონაცემთა ანალიზი გვიჩვენებს, რომ ექსპორტის

მოცულობა 2010 წლიდან 2013 წლამდე იზრდებოდა, კერძოდ 2010 წელს რეგისტრირებული ექსპორტის მაჩვენებელი 1677.3 მლნ აშშ დოლარი იყო, 2013 წელს კი 2910, 3 მლნ აშშ დოლარს მიაღწია, თუმცა ქვეყანამ 2014 წელს გაუმჯობესებაზე რომ არაფერი ვთქვათ ამ მაჩვენებლის შენარჩუნებაც ვერ შეძლო და 2018 წლამდე 2013 წლის მაჩვენებელი ვერ გაუმჯობესდა. 2018 წელს ექსპორტის მოცულობამ 3033.5 მლნ აშშ დოლარს მიაღწია რაც ეკონომიკურ ზრდაზე დადებითად აისახა.

განაალიზებულია ინოვაციური მენეჯმენტის და ბიზნესის როლი უმუშევრობის პრობლემის გადაჭრის საკითხში. ბიზნესის დასაწყისშივე კომპანიამ უნდა გააცნობიეროს, რომ გრძელვადიანი წარმატების გზა მხოლოდ ინოვაციაზე გადის, კომპანიის მიერ ბაზრისათვის შეთავაზებული პროდუქტი თუ მომსახურება მინიმუმ, უნდა მოიცავდეს კლიენტის მოთხოვნებს, მაქსიმუმ თავად უნდა კარნახობდეს საზოგადოების ახალ მოთხოვნებს.

თიბისი ბანკის მხარდაჭერით ბიზნესპროცესების ავტომატიზირების მხარდასაჭერად შეიქმნა ონლაინ პლატფორმა. რომელიც უზრუნველყოფს ტექნოლოგიური პროდუქტების მომწოდებლებისა და მათი შექმნით დაინტერესებული მხარეების დაკავშირებას.

გარდა ტექნოპარკების მშენებლობისა სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს ქვეყანაში უცხოური კაპიტალის შემოსვლას და გამოყოს სუბსიდიები ბიზნესის განსავითარებლად.

საქართველოში კორპორაციების რეგიონალური დაყოფა უნდა მოხდეს შემდეგნაირად:

1) რეგიონალურ კორპორაცებად. 2) უწყებათაშორის კორპორაცებად. 3) ტრანსნაციონალურ კორპორაცებად. 4) საერთაშორისო კორპორაცებად.

გასული საუკუნის ქართული ეკონომიკა ენტროპიის მაღალი დონით ხასიათდება და არც ახლა არის მისი საგრძნობი კლების ტენდენცია. ენტროპიის ზრდას, კარგად წარმოაჩენს შემდეგი ფაქტორები:

1) უმუშევრობის მაღალი დონე. 2) რეგიონიდან მოსახლეობის

მიგრაციის მაღალი მაჩვენებელი. 3) ინფლაციის ზრდა. (მიუხედავად იმისა, რომ 2017 წელთან შედარებით 2018 წელს შედარებით დაბალი იყო, ამჟამად მის შემდომ სტაბილურობაზე წინასწარი პროგნოზის გაკეთება რთულია). 4) სიღარიბის დონე. 5) დიდი სოციალური უთანასწორობა.

ამგვარად, ჩვენს ქვეყანაში დღეს მწვავედ დგას გაურკვეველობის, ალბათობის, ფინანსური დანაკარგების, რისკების და შესაბამისად ენტროპიის პრობლემა. რის წინააღმდეგაც მთელი ძალისხმევით უნდა მივმართოთ ცოდნაზე დაფუძნებული მართვა, ინოვაცია და გლობალიზაციის ყველა სასიკეთო მონაპოვარი. რეალურად რეგიონების განვითარება მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი, როცა შემცირდება ენტროპიის დონე. თავისმხრივ, მის შესამცირებლად საჭიროა ორგანიზებულობისა და წესრიგის მაღალი დონე და ნეგენტროპიის სხვა მეთოდები. სრული ნეგენტროპიის მიღწევა შეუძლებელია, რადგან მომავლის წინასწარი განჭვრეტა, აწმყოს დეტალური ანალიზი და მუდმივი წესრიგის მიღწევა შეუძლებელია. ასე, რომ კარგი იქნება ენტროპიის და ნეგენტროპიის ოპტიმალური ბალანსი.

2018 წლის მაისიდან გამკაცრებული სასესხო რეგულაციები, რომლებიც 2019 წლის იანვრიდან კიდევ უფრო გამკაცრდა გარკვეულწილად მისასალმებელია, ემსახურება რა გააზრებულ და გონივრულ დაკრედიტებას. თუმცა, მეორე მხრივ შეიცავს ბევრ ხარვეზს. კარგი იქნებოდა, თუ რეგულაციების ამოქმედებამდე გაიმიჯნებოდა საბანკო პროდუქტები და მათი კატეგორიის და მოსალოდნელი რისკების ანალიზის მიხედვით მოხდებოდა თითოეულ პროდუქტზე ინდივიდუალური რეგულაციის დაწესება.

საქართველოში მიმდინარე ბიზნესპროცესები ყოველწლიურად ფასდება საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების მიერ, თუმცა ეს შეფასებები ამომწურავად ვერ აფასებს საწარმოო პროცესების ხარვეზებს და იმ პრობლემებს რის წინაშეც გდას ქართული კომპანიების უმეტესობა. ამიტომ ფორმალური შეფასებების ნაცვლად უმუალოდ ბიზნესმენებთან დიალოგია საჭირო.

ნაშრომის მესამე თავი: „კონკურენციის ეფექტიანობის მექანიზმები და პრიორიტეტები“, შედგება: 3.1 კონკურენციის სამართლებრივი საფუძვლები, 3.2 კონკურენციის სააგენტოს როლი და შემდგომი სრულყოფის მიმართულებები, 3.3. საქართველოს კონკურენციის მთავარი ორგანოები 3.4. კონკურენციის კვლევა, კვლევის ობიექტი, კვლევის შედეგი. მასში მოცემულია კონკურენციის სამართლებრივი საფუძვლები.

მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობა სახელმწიფოს მთავარ პრიორიტეტად უნდა გადაიქცეს, XX საუკუნეში მეცნიერები ალაპარაკდნენ ტოტალურ მონოპოლიზაციაზე საბაზრო მეურნეობაში და მცირე და საშუალო ბიზნესის სრულ კრახზე, მაგრამ ეს არ მომხდარა. მცირე და საშუალო მეწარმობა და გაცვლა მშვიდად თანაარსებობდა უმსხვილეს კორპორაციებთან:

ისინი შეუცვლელები იყვნენ და არიან ყოველდღიური მოთხოვნილების დაკმაყოფილების სფეროში.

განსაკუთრებით რთულია ბრძოლა ისეთ კარტელებთან რომლებიც იქმნება ბუნებრივ რესურსებთან დაკავშირებით, მათი დუბლირება რთულია და თუ მათი შემცვლელი პროდუქციის წარმოება ვერავინ შეძლო ისინი დამანგრეველ ზიანს მიაყენებენ პირველ რიგში მომხმარებელს და შემდგომ ქვეყნის ეკონომიკას.

აშშ-ში კარტელთა უმრავლესობა არალეგალურია. მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში ამერიკის შეერთებული შტატების მრეწველობაში ფართოდ იყო გავრცელებული კარტელური შეთანხმებები. რომელთა მიზანი იყო ფასის ფიქსაცია, ბაზრის გაყოფა და წარმოების კვოტის დადგენა, რასაც შედეგად მოყვებოდა კომპანიათა მოგების ზრდა ან სულ მცირე მოგების მარჟის გამყარება. ამ ქმედებათა აღსაკვეთად 1890 წელს მიღებულ იქნა შერმანის აქტი, რომელიც ავალდებულებს სახელმწიფოს: გამოავლინოს საიდუმლო გარიგებები და დასაჯოს მასში მონაწილეები. ამგვარად, შერმანის აქტი კრძალავს კონკურენტებს შორის ნებისმიერი სახის შეთანხმებას, რომელიც გაუმართლებლად ზღუდავს ვაჭრობას. აღნიშნული

აკრძალვა მოიცავს როგორც ჰორიზონტალურ, ასევე ვერტიკალურ შეთანხმებებს.

საკითხს საინტერესოდ განიხილავს ქართველი მეცნიერი რევაზ ლორთქიფანიძე. გვთავაზობს რა სიტუაციურ მაგალითს, არგუმენტირებულად ასაბუთებს, რომ ცალკეულ შემთხვევებში კანონი და რეალური ფაქტები ურთიერთ გამომრიცხავ სურათს ქმნის. შესაძლოა კომპანია რომელიც 20%-იან ან 30% წილს ფლობდეს ბაზარზე, კანონით არ ითვლებოდეს დომინანტად, თუმცა სრულად აკონტროლებდეს ბაზრს.

ამგვარად, საქართველოს ეკონომიკა, რომელმაც ჯერ კიდევ ვერ მიაღწია სათანადო ზრდას და მნიშვნელოვნად ზარალდება მონოპოლიური გავლენით, საჭიროებს მეტად რაციონალურ მიდგომას და დომინირებული მდგომარეობის შეფასების ზღვრის მინიმუმ 10%-ით დაწევას.

კანონის მე-6 მუხლის მიხედვით დომინანტ ეკონომიკურ აგენტებს. ეკრძალებათ:

1. ერთი ან რამდენიმე (ჯგუფური დომინირების შემთხვევაში) ეკონომიკური აგენტის მიერ დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენება დაუშვებელია.

2. დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენებად შეიძლება ჩაითვალოს შემდეგი ქმედებები:

ა) შესყიდვის ან გაყიდვის არასამართლიანი ფასების ან სხვა არასამართლიანი სავაჭრო პირობების პირდაპირ ან არაპირდაპირ დადგენა;

ბ) წარმოების, ბაზრების ან ტექნოლოგიური განვითარების მომხმარებელთა ინტერესების საზიანოდ შეზღუდვა;

გ) გარკვეული სავაჭრო პარტნიორებისთვის იდენტურ ტრანზაქციებზე დისკრიმინაციული პირობების დაწესება, რითაც ხდება მათი არაკონკურენტულ მდგომარეობაში ჩაყენება;

დ) ხელშეკრულების წინაპირობად გარიგების იმგვარი პირობის დაწესება, რომელიც გარიგების მეორე მხარეს ისეთ დამატებით ვალდებულებას აკისრებს, რომელიც დაკავშირებულია რა რის გარიგების საგანთან, და სხვა.

ამგვარად, „კონკურენციის შესახებ კანონის“ ეფექტური ფუნქციონირებისთვის აუცილებელია მისი გადახედვა, მასში გარკვეული ტერმინების დაზუსტება, ცალკეული პუნქტების დაკონკრეტება და აკრძალულ ქმედებებზე შესაბამისი სადამსჯელო ღონისძიებების გატარება.

განაალიზებულია კონკურენციის სააგენტოს როლი და მისი შემდგომი სრულყოფის მიმართულებები.

კონკურენციის სამართალი წარმოადგენს სამართლისა და ეკონომიკის ერთგვარ ნაზავს „კონკურენციის სამართალი არეგულირებს ეკონომიკური აგენტების ქმედებას ბაზარზე, სწორედ ამიტომ იგი უნდა იყოს მაქსიმალურად მოქნილი და ეფექტიანი.

ევროკავშირმა მიიღო გადაწყვეტილება, კონკურენციის შესახებ საკანონმდებლო ბაზის შემუშავებასა და სრულყოფაში საქართველოსათვის აღმოეჩინა დახმარება. განსაკუთრებით კი ისეთ საკითხებზე როგორებიცაა:

1) ეკონომიკურ აგენტებს შორის შემზღუდავი ან შემაფერხებელი ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების დადება;

2) ბაზარზე დომინანტი ეკონომიკური აგენტის მიერ ამ მდგომარეობის ბოროტად გამოყენება;

3) კონკურენციის შემზღუდავის სახელმწიფო დახმარებები;

4) სახელმწიფო მონოპოლიები;

5) სახელმწიფო განმგებლობაში არსებული საწარმოები.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით საქართველოს წინა მთავრობამ 2010 წლის 3 დეკემბერს გამოსცა განკარგულება რომლითაც დამტკიცდა „კონკურენციის პოლიტიკის ძირითადი სტრატეგია.“ და რომელიც სრულ შესაბამისობაშია ევროკავშირის კონკურენციის სამართლებრივ ნორმებთან. მოგვიანებით 2012 წლის 8 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“, რომელშიაც არ ასახულა ევროკავშირის ძირითადი პრინციპები. მისი ბევრი მუხლი არ შეესაბამებოდა ევროკავშირის შესაბამის სამართლებრივ ნორმებს. მოგვიანებით 2014 წლის 21 მარტს კანონში შევიდა ცვლილებები და კანონის დასახელება: „კონკურენციის შესახებ კანონით“ შეიცვალა.

საქართველოში 2014 წლიდან მოქმედებს კონკურენციის მარეგულირებელი არსობრივად განახლებული კანონმდებლობა, რომლის მიზანია შესაბამის ბაზრებზე მოქმედ ეკონომიკურ აგენტებს შორის ჯანსაღი კონკურენციის ხელშეწყობა.

ანტიმონოპოლიური რეგულირების ორი მიმართულება არსებობს:

1) ნორმატიული და 2) ორგანიზაციული.

1) ნორმატიული რეგულირების არსი გამოიხატება სამეურნეო საქმიანობის წარმართვის წესების ნორმატიულ-სამართლებრივი აქტებით დადგენასა და მათი განხორციელების კონტროლში.

2) ორგანიზაციული რეგულირების არსი კი – მდგომარეობს სხვადასხვა ორგანიზაციული სტრუქტურის შექმნასა და მათთვის შესაბამისი უფლებამოსილების მინიჭებაში.

ანტიმონოპოლიურმა სამსახურმა ბევრი სასიკეთო საქმე გააკეთა ქვეყნის ეკონომიკური წინსვლისა და თავისუფალი კონკურენციის ხელშეწყობის მიზნით. ახლა კი, მინდა მცირე კომენტარი გავაკეთო, იმ ავბედით შედეგებზე რაც ანტიმონოპოლიური სამსახურის გაუქმებას მოყვა.

2005 წელს გაუქმდა ანტიმონოპოლიური სამსახური, რისი სავალალო შედეგებიც იწვინა ჩვენი ქვეყნის მოსახლეობამ, პირველადი მოხმარების საქონელზე მათ შორის შაქარსა და მარილზე ფასები ხელოვნურად გაიზარდა. ვინაიდან არ არსებობდა ორგანო რომელიც აღკვეთდა ბაზარზე ფასების თვითნებურ ზრდას, ფასების კონტროლი ეროვნულ ბაზარზე დაევალა შინაგან საქმეთა სამინისტროს. რაც ჩვენი აზრით, ძალიან უცნაური ირაციონალური და ფარული ინტერესით განხორციელებული ნაბიჯი იყო.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე 2012 წელს, პარლამენტმა მიიღო კანონი "თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის" შესახებ და სახელმწიფო შესყიდვებისა და კონკურენციის სამსახურის ბაზაზე ჩამოყალიბდა ანტიმონოპოლიური სამსახური.

ანტიმონოპოლიური სამსახურის აღდგენა თავისთავად წინ გადადგმული ნაბიჯი იყო, თუმცა იგი მთელ რიგ ნაკლოვანებებს შეიცავს და შესაბამისად მისი მოქმედებაც არ არის საკმარისად ეფექტური.


ჩვენი აზრით, იმისათვის რომ ანტიმონოპოლიურმა სამსახურმა უფრო ფასეული შედეგი დადოს უნდა გამოავლინოს არა მონოპოლიური ფირმა, არამედ მონოპოლიური ფასი, ვინაიდან საერთაშორისო კანონით მონოპოლია არ არის აკრძალული გარდა ერთი შემთხვევისა, როცა სახელმწიფო ერთ რომელიმე კომპანიას აყენებს პრივილეგიებულ მდგომარეობაში და დანარჩენ ფირმებს ბლოკავს.

დღესდღეობით საქართველოს მოქმედი კონკურენციის მარეგულირებელი ორგანოა კონკურენციის სააგენტო, მისი შექმნა იყო კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს გაყოფის შედეგი.


კონკურენციის კვლევა, კვლევის ობიექტი, კვლევის შედეგი

კვლევის ობიექტად შევარჩიეთ ერთ-ერთი დამწყები ქართული კომპანია, კვლევის პროცესში გამოვიყენეთ ანალიზის, სინთეზის, აბსტრაქციისა და რაოდენობრივი კვლევის მეთოდები. კვლევა მოიცავდა როგორც კითხვარს ასევე ინტერვიუს კომპანიის წარმომადგენელთან.


კითხვაზე, თუ რამდენადაა დამოკიდებული ქვეყანაში ჯანსაღი კონკურენციის არსებობა, სამართლებრივ სისტემებზე, რესპოდენტთა მოსაზრება შემდეგნაირად გადნაწილდა.



კითხვაზე, თუ რამდენად განაპირობებს არაეფექტური სამართლებრივი სისტემა კომპანიის არალეგალურ საქმიანობას, გამოკითხულთა უმეტესმა ნაწილმა დადებითი პასუხი დააფიქსირა.



კითხვაზე, თუ ქვეყანაში რამდენად ფართოდ არის გავრცელებული მონოპოლიები გამოკითხულთა 56%, მიიჩნევს რომ მონოპოლიები ფართოდ არის გავრცელებული, 18% თვლის, რომ ბაზარი მთლიანად მონოპოლიზირებულია, ხოლო 26% თვლის, რომ მონოპოლიათა ცალკეული შემთხვევები ფიქსირდება.




კითხვაზე, თუ რა განაპირობებს სფეროს კონკურენტუნარიანობას, ჩვენმა რესპოდენტმა, შემდეგი პასუხი გაგვცა: „პროფესიონალებისგან დაკომპლექტებული გუნდი და თანამეროვე, ახლებური აიტი და საბანკო ინფრასტრუქტურა.“ ინტერვიუდან დავაზუსტეთ, რომ სფეროს მიზნობრივი სეგმენტი 18-დან 35-წლამდე ტექნოლოგიურად გათვითცნობიერებული მომხმარებლები არიან. რომლებიც არ უშინდებიან სიახლეებს, მარტივად იღებენ ინოვაციას და ცდილობენ არამარტო ისარგებლონ და ფეხი აუწყონ სიახლეს, არამედ თავად გახდნენ მისი მონაწილეები და ინიციატორები.

გლობალიზაციის მონაპოვარი ინფორმაცია და მეტად გათვითცნობიერებული მომხმარებელია, რომელმაც იცის რა სურს, განსაზღვრული აქვს პრიორიტეტები და აქვს მზარდი მოთხოვნილებები.


ამასთან ცხოვრების ჩქარი ტემპი, ბევრი შესაძლებლობა, მზარდი ცნობისმოყვარეობა და კიდევ სხვა ბევრი მიზეზი განაპირობებს იმას, რომ დღესა და ღამეს შორის აქამდე არსებული ზღვარი გაქრა. ამას თითქმის ყველა თანამედროვე კომპანიამ აუწყო ფეხი და მომხმარებელი იღებს 24/7 საათიან მომსახურებას.

კითხვარი N2


1) კითხვაზე სარგებლობთ თუ არა საბანკო მომსახურებით, გამოკითხულთა უმეტესობამ დადებითი პასუხი დააფიქსირა




2) გსმენიათ თუ არა ნეო ბანკის სფეისის შესახებ და რამდენად სანდოდ მიიჩნევთ მას, ამ კითხვებზე პასუხები შემდეგნაირად გადანაწილდა:



3) სარგებლობთ თუ არა სფეისის მომსახურებით და სარგებლობის შემთხვევაში რამდენად კმაყოფილი ხართ ამ კითხვაზე გამოკითხულთა მოსაზრება შემდეგნაირად განაწილდა:



4) არის თუ არა რაიმე ისეთი, რამაც უკმაყოფილება გამოიწვია. ეს იყო:



გარდა გაწერილი სავარაუდო პასუხებისა რესპოდენტებს მივეცით საშუალება, დაეფიქსირებინათ ჩამოთვლილისგან განსხვავებული ფაქტორები, რომლებმაც სერვისით სარგებლობისას გამოიწვია მათი უკმაყოფილება.

ძირითადი დასკვნები:

ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის ანალიზის საფუძველზე გთავაზობთ შემდეგ დასკვნებსა და რეკომენდაციებს:

1) კონკურენცია აიძულებს კომპანიებს დანერგონ ახალი ინოვაციური პროდუქტი თუ მომსახურება ან შეამცირონ ფასები. კონკურენციის გარეშე ვერც ბაზარი ვითარდება და ვერც მომხმარებელია კმაყოფილი. ასეთ პირობებში ეკონომიკური ზრდა შორეული პერსპექტივაა. თუმცა საქართველოში, ბოლო ათწლეულის განმავლობაში ბაზარზე არსებულმა კონკურენციამ, მცირე ხარვეზების მიუხედავად, გამოაცოცხლა და გაააქტიურა ბიზნეს სექტორი. მენეჯერებმა ახლებურად დაიწყეს ფიქრი და დაინახეს, რომ წარმატებისაკენ მიმავალი გზა ინოვაციაზე და ეფექტური კონკურენტური სტრატეგიების შემუშავებაზე გადის.

2) ფინანსური ბაზრის ანალიზმა აჩვენა, რომ რამდენიმე წლის წინ ძნელად წარმოსადგენი იყო ისეთი ბანკის არსებობა, რომელსაც არ ექნებოდა არც ერთი ფილიალი და ყველა საბანკო ოპერაციის შესრულება ერთი აპლიკაციიდან იქნებოდა შესაძლებელი. თუმცა, ტექნოლოგიები ისე განვითარდა თანამედროვე ადამიანს უკვე აღარაფერი უკვირს.

3) მოკვლევულმა ინფორმაციამ აჩვენა, რომ ხელოვნური ინტელექტი, ის ფენომენია, რომლის გამოყენებითაც კომპანია იგებს მომხმარებლის გულს. ჩვენი კვლევის ობიექტმა „სფეისმა” საბანკო ოპერაციების სოციალურ ქსელთან ინტეგრაციით სწორედ ხელოვნური ინტელექტის ფენომენი გამოიყენა.

4) კონკურენტული უპირატესობის მოპოვებაში დიდი როლი ეკირება ბიზნეს პროცესების ავტომატიზაციის პროცესს.

ჩვენი რეკომენდაციით, საწყის ეტაპზე კომპანიისთვის აუცილებელია მინიმუმ ისეთი ბიზნეს პროცესების ავტომატიზაცია, რომელიც:

ა) ავტომატურად დაითვლის პროდუქტზე გაწეულ ფიქსირებულ ხარჯებს და მის თვითღირებულებას.

ბ) დღიური გაყიდვების მონაცემთა დამუშავებით აჩვენებს გაყიდვების დინამიკას. (შესაძლებელია საათობრივად დაყოფა.) დღე-ღამის სხვადასხვა მონაკვეთში მოთხოვნის ცვლილების დინამიკას.

გ) კომპანიის მიერ მომხმარებლისათვის შეთავაზებულ მომსახურებაზე ვიზიტის დაგეგმვის დისტანციური საშუალება. მაგ: აპლიკაციის საშუალებით თავისუფალი დღეების და საათების მოძიება და სასურველი ვიზიტის დაჯავშნა.

5) მეწარმეობის განვითარება ეკონომიკური ზრდის წინა პირობაა, მათი საქმიანობა უნდა ემყარებოდეს კეთილსინდისიერ კონკურენციას და ძალაუფლების ბოროტად გამოყენების ყველა მცდელობა დასაწყისივე უდა იქნას განეიტრალებული. სწორედ ახალი კომპანიის გამოჩენა აიძულებს კონკურენტებს შეიმუშაონ ინოვაციური სტრატეგია და მუდმივ განვითარებაზე იყვნენ ორიენტირებულნი. ეს პროცესი კი საბოლოოდ ქმნის ეკონომიკურად თავისუფალ ბაზრს, სადაც ნებისმიერი კომპანია თავისუფალი და დამოუკიდებელია.

ჩვენი რეკომენდაცია ასეთია, სახელმწიფო აქტიურად უნდა იყოს ჩართული კომპანიებისათვის საჭირო მაკრო გარემოს ფორმირებაში, უნდა უზრუნველყოს კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბება და ამავდროულად პრივილეგირებულ მდგომარეობაში არ უნდა ჩააყენოს კონკრეტული კომპანიები.

ასე, რომ გამოცდილება ყოველთვის არ წარმოადგენს კომპანიის ძლიერ მხარეს. მიზანმიმართული, ინოვაციური მენეჯმენტის საშუალებით სფეროს მსგავსად დამწყებმა კომპანიამაც შეიძლება მიაღწიოს წარმატებას.

კვლევის ეს შედეგი, მნიშვნელოვანია ქართული კომპანიების სამომავლო სტრატეგიების შემუშავებისა და მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების გზაზე. რათა მათაც არ შეხვდეთ თავდაჯერებულობით და საკუთარი შესაძლებლობების გადამეტებული შეფასებით გამოწვეული შეცდომები.

- ჩვენი აზრით, კომპანიამ დასწყისშივე უნდა გააანალიზოს მისი ბიზნესის საჭიროებები და შესაძლებლობები. შემდგომ საბაზრო კონკურენციის პირობებში, კლიენტთა მუდმივად მზარდი მოთხოვნების საპასუხოდ უნდა იზრუნოს თანამედროვე და ინოვაციური პროდუქციისა და მომსახურების შექმნაზე, რომელიც მომავლის პერსპექტივაში ჩაანაცვლებს ბაზარზე არსებულ მოძველებულ პროდუქტსა და მომსახურებას. კომპანიისათვის კონკურენტული უპირატესობის მოსაპოვებლად, ჩვენი რეკომენდაციებია: თითოეული მომხმარებლის კმაყოფილებაზე ორიენტირება. ზრუნვა მომხმარებელზე. კომპანიის მიმართ ნდობის მოპოვება. კომპეტენტურობა. მომხმარებლისათვის ხარისხიანი პროდუქციისა და მომსახურების შეთავაზება. დანაპირების შესრულება და იმ სტანდარტების დაცვა, რაზეც აცხადებს პრეტენზიას. მომხმარებლისთვის სიახლეების შეთავაზება.

6) და ბოლოს, როგორც ადამ სმითის უხლავი ხელი კარნახობს წესებს კონკურენტულ ბაზარს. ისეთივე „უხილავი ფაქტორები“ ახდენენ გავლენას კომპანიის ეფექტიანობასა და იმიჯზე. ამიტომაც საჭიროა ამ ფაქტორთა გამოვლენა და ანალიტიკა. რაც საბოლოოდ, კომპანიას იმ მიზეზების და

გარემოებების ანალიზის საშუალებას მისცემს რაც ზედაპირზე არ დევს. ამ ფაქტორების უმეტესობა, კომპანიის საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით, ინდივიდუალური და შესაბამისად განსხვავებული შეიძლება იყოს. თუმცა, შესაძლებელია მაინც გამოვყოთ საერთო ფაქტორი: „მომხმარებელი“ და ნებისმიერი კომპანიის საერთო მიზანი: საუკეთესო სამომხმარებლო გამოცდილების მიღწევა. ამ მიზნის მისაღწევად, ჩვენი ანალიტიკური კვლევის საფუძველზე გთავაზობთ რეკომენდაციას, რომ ნებისმიერი კომპანიისათვის მომხმარებელი უნდა გახდეს ცენტრალური ფიგურა. კომპანიამ უნდა შექმნას სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს მომხმარებლის კმაყოფილებას. რისთვისაც კომპანია უნდა უსმენდეს მომხმარებელს და რაც ყველაზე მთავარია უნდა ესმოდეს მისი, ამასთან მომხმარებელთან უნდა ჰქონდეს მკაფიო და ადვილად გასაგები კომუნიკაცია.

ჩვენი რეკომენდაციით კომპანიამ მუდმივად უნდა დააგროვოს კლიენტების უკუკავშირის შესახებ ინფორმაცია და მოახდინოს მისი რაციონალური ანალიზი მომსახურების და წარმოებული პროდუქციის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

ნაშრომის აპრობაცია:

ბიზნეს–ინჟინერინგის დეპარტამენტში დაცული იქნა:

კოლოქვიუმები:

I კოლოქვიუმი – „ კონკურენციის პოტენციალის ეფექტიანად გამოყენების მექანიზმი”

II კოლოქვიუმი – „ კონკურენციის სამართლის არსი და მისი შეფასების საერთაშორისო პრაქტიკა.”

სადისერტაციო კვლევის ძირითადი შედეგი მოხსენდა,

კონფერენციაზე:

1. თამარ თალაკვაძე, „ინოვაცია, როგორც თანამედროვე ბიზნესის წარმატების მნიშვნელოვანი მექანიზმი” მესამე საერთაშორისო სამეცნიერო

კონფერენცია „გლობალიზაცია და ბიზნესის თანამედროვე გამოწვევები.“
ტექნიკური უნივერსიტეტი. 2019 წ. 24-25 მაისი.

სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი დებულებები

გამოქვეყნებულია სტატიებში:

1. თამარ თალაკვაძე, „გლობალიზაცია, კონკურენცია და თანამედროვე ბიზნესის პერსპექტივები“ ჟურნალი: „ინოვაციური ეკონომიკა და მართვა“ N4 2017წ. 23-26გვ.
2. თამარ თალაკვაძე, ქეთევან შენგელია, „ქართული ბიზნესის სტაბილურობის პრობლემები და განვითარების პერსპექტივები“ შრომების კრებული: „ გლობალიზაცია და ბიზნესის თანამედროვე გამოწვევები“ 2018წ. 94-96 გვ.
- 3.თამარ თალაკვაძე, „ეროვნული ბანკის როლი საზოგადოებისა და საფინანსო სექტორის ურთიერთობაში ბაზარზე არსებული კონკურენციის პირობებში.“ ჟურნალი “სოციალური ეკონომიკა” N2-3, 2018წ.86-92გვ.
4. თამარ თალაკვაძე, „ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა, როგორც კონკურენციის ეფექტიანი მექანიზმი“ ჟურნალი: „ეკონომიკა“. №3-4, 2019წ. გვ. 45-50